შპს „ მარნეულის სოფწყალი“

შესადუღებელი ელექტრომოწყობილობის შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

კლასიფიკატორის კოდი (CPV42600000) ქვე კოდი CPV42662000

დაფინანსების წყარო : საკუთარი სახსრები

სატენდერო დოკუმენტაცია

სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის # 9 ბრძანების „ გამარტივებული შესყიდვის , გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად

მარნეული

2016 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 2

2. ტექნიკური დავალება 3

3. (დანართი N 1) რეკვიზიტები 4

4. დანართი N 2. ფასების ცხრილი..... 5

5. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ პროექტი...6

1. <u>*ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობისათვის*</u>

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში- სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტორნული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" შესამაბისად.

1.2 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენედერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესამაბისად

1.6 პრეტედენტს არა აქვს უფლება წარმოადგიოს ალტერნატიული წინადადება

1.7.სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების მიღება პრეტედენტს შეუძლია სისტემის მოდულის – კითხვა /პასუხის მეშვეობით.

2. *ტექნიკური დავალება*

2.1. შესაყიდი საქონლის დასახელება :

შესადუღებელი ელექტრომოწყობილობის შესყიდვა.

შედუღების დიზელ გენერატორი 7 კილოვატიანი.და შედუღების ციფრული აპარატი არანაკლებ 25 ატმოსფერო

2.2 მიწოდების ადგილი : მარნეულის რაიონი სოფელი იმირი

N	დასახელება	რაოდ ენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	შედუღების ციფრული აპარატი არა უმცირეს 25 ატმოსფერო	1	ცალი		
2	შედუღების დიზელ გენერატორი 7 კვტ–იანი	1	ცალი		
			11000 ლარი (თერთმეტი ათასი ლარი)		

2.2 . ანგარიშსწორების პირობები :

2.2.1. იმ შემთხვევაში თუ ტენდერით ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20 %–ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე , შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს მოთხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას : შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით შესაბამის ხელშეკრულებებს,ანგარიშ -ფაქტურებს ან სხვა დოკუმენტებს ,რომლებიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას .ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011

წლის 07 აპრილის N 9 ბრძანებით დამკიცებული წესის მე–13 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე , გარდა იმ შემთხვევისა , როდესაც სახეზეა ამ წესის მე– 13 მუხლის მე–2 „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

2.2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში .

2.2.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.2.4.საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

2.3 საქონლის მიწოდების ვადები:

2.3.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. მისამართზე : მარნეულის რაიონი სოფელი იმირი.

3. სხვა მოთხოვნები :

3.1. სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში,საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და გადასახადის გათვალისწინებით დღგ–ს გარდა.

3.2. თუ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის გამარჯვებული პრეტენდენტი იქნება დარეგისტრირებული დღგ –ს გადამხდელად , ხელშეკრულების გაფორმებისას აღნიშნული საქონლის ღირებულებას დაემატება დღგ(18 %)

3.3.პრეტენდენტს მოეთხოვება წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ორგანოდან დღგ–ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

3.4დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან :შპს „მარნეულის სოფწყალი“–ს დირექტორი ბადრი ქველაძე 599 99 64 46. შპს „ მარნეულის სოფწყალი “– ს შესყიდვების კოორდინატორი ნუნუ ჩიტაშვილი 592 00 06 08.

ელ. ფოსტა : marneuli2044@gmail.com

3.5 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები :

3.6. რეკვიზიტები დანართი N 1 შესაბამისად.

3.7. მისაწოდებელი საქონლის ფასების ცხრილი დანართი N 2 შესაბამისად

დანართი N 1

რეკვიზიტები:

1	პრეტედენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2.	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტედენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	პრეტედენტის ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	ბანკის დასახელება	
8	ბანკის კოდი	
9	ანგაიშსწორების ანგარიში	
10	საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა	
11	სატენდერო წინადადების ფასი	

ხელმძღვანელი :

ხელმოწერა

დანართი N 1

რეკვიზიტები:

1	პრეტედენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2.	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტედენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	პრეტედენტის ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	ბანკის დასახელება	
8	ბანკის კოდი	
9	ანგაიშსწორების ანგარიში	
10	საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა	
11	სატენდერო წინადადების ფასი	

ხელმძღვანელი :

ხელმოწერა

დანართი N 1

რეკვიზიტები:

1	პრეტედენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2.	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტედენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	პრეტედენტის ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	ბანკის დასახელება	
8	ბანკის კოდი	
9	ანგაიშსწორების ანგარიში	
10	საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა	
11	სატენდერო წინადადების ფასი	

ხელმძღვანელი :

ხელმოწერა

დანართი N 2

ფასების ცხრილი:

პრეტენდენტის დასახელება_____

N	დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მ.შ.დღგ	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9
			1					

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულება №

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ “ 2016 წ.

ერთის მხრივ **შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“**-ს (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის **ბადრი ქველაძის** სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**
   1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
   1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
   1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
   1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
   1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული
   1.6. “ტექნიკური დავალება”– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
2. **ხელშეკრულების საგანი**
   2.1. ხელშეკრულების საგანია: **შედუღების დიზელ გენერატორი 7 კილოვატიანი.და შედუღების ციფრული აპარატი არანაკლებ 25 ატმოსფერო**
   2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.
3. **ხელშეკრულების ღირებულება :**
4. **მიწოდებული საქონლის** საერთო ღირებულება შეადგენს **11000 ლარს.** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
   4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუსაოების შესრულებასთან დაკავშირებულ

მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.2. მიწოდება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე : **მარნეულის რაიონი სოფელი იმირი.**

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს 30 კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

5.2. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.4. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. **სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. სამუშაოები შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს, განახორციელებს **შ.პ.ს. მარნეულის სოფწყალი"-ს** (განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღეს) უფლებამოსილი პირი.

7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. **შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია**

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. **ანგარიშსწორება**

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **30** კალენდარული დღის განმავლობაში.სამუშაოების შესრულების პროცესში ანგარიშსწორებამ შესაძლებელია იწარმოოს შესაბამისი სამუშაოების შესრულების შუალედური დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიხედვით.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება **უნაღდო,** გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, დასკვნის გაცემიდან 30 დღის განმავლობაში

10. **ფასები**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია ფასის შეცვლა, თუ

ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელსეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების **10 %-ს**.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა

13.2. წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.1%** ოდენობით.

15.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა დაგააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს , შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2. მეორე მხარე, ვალდებულია 10.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

16.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე**

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

შპს « მარნეულის სოფწყალი »

მისამართი: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. №73

ბანკი: ს/ს « ლიბერთი ბანკი » მარნეულის განყოფ.

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა: GE62LB0113145242467000

ს/ნ 434158163

ტელ : 599-99-64-46

დირექტორი :

_____ /_____/

(ბ.ა)

მიმწოდებელი:

მისამართი

ბანკი :

ბანკის კოდი :

ა/ა :

ს/ნ :

ტელ :

დირექტორი :

---------- / ------

(ბ.ა)